

დამტკიცებულია:  
ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია  
ბიდისის დირექტორის 2025 წლის 8 იანვრის N5  
ბრძანებით

ცვლილებები დამტკიცებულია :  
ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის დირექტორის  
2025 წლის 24 აპრილის N 22 ბრძანებით

## ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი



ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები

თბილისი

2025

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისიში სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებას, რაც ხელს უწყობს აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, განვითარების ეტაპების განსაზღვრას და სრულყოფას.

1.2. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარების და სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატურ შეფასებას გაუმჯობესებას. სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის აკადემიაში გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, განვითარება და სრულყოფა. შიდა შეფასება მიმართულია სუსტი მხარეების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად, ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად.

1.3. ვერიფიკაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების ნამდვილობის დადგენას

## მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი

2.1. დასახული მიზნების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი იყენებს ხარისხის ციკლს:

დაგეგმვა - განხორციელება - შეფასება - გადახედვა/გაუმჯობესება.



### მუხლი 3. დაგეგმვა

3.1. დაგეგმვა - მოიცავს სტრატეგიული, სამოქმედო და ხარისხის უზრუნველყოფის გეგმების შემუშავება/გადახედვას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მოკლე და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივები და მათი მიღწევის გზები.

### მუხლი 4. განხორციელება

4.1. განხორციელება - შემუშავებული გეგმების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი:

4.1.1. ატარებს სასწავლო პროცესის, მათ შორის დისტანციური სწავლებისას, და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს;

4.1.2. ახორციელებს სწავლა-სწავლების და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესის მონიტორინგს;

4.1.3. ამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული პირების სწავლისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით შესრულებულ სამუშაოს და სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხს;

4.1.4. ამოწმებს სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით: საგანმანათლებლო პროგრამებს, პროგრამის კომპონენტებს, სასწავლო პროცესს, აკადემიის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საბიბლიოთეკო ფონდის და მოდულებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობას;

4.1.5. ამოწმებს შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას;

4.1.6. ახორციელებს სამოქმედო და ხარისხის უზრუნველყოფის გეგმებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობებს;

4.1.7. შეიმუშავებს კვლევის კითხვარის (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, კურსდამთავრებული, პროფესიული განთლების მასწავლებელი, ადმინისტრაციული პერსონალი და დამსაქმებელი) ფორმებს: სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულების განხორციელების ხარისხის, პროფესიული მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ხარისხის, სტუდენტური სერვისებისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის, ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, მატერიალურ-ტექნიკურ გარემოს, საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების და სხვა გამოკვლევის მიზნით.

4.1.8. მატერიალური და საინფორმაციო რესურსების შეფასება ხორციელდება ადმინისტრაციის თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ რეგულარულად, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ შედგენილი კითხვარების ფორმები მოიცავს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას.

4.2. კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია:

4.2.1. აკადემიის მიმდინარე საქმიანობის შეფასება და მისი განვითარება ხორციელდება ობიექტური კვლევებით მიღებული შედეგების ანალიზის - შიდა და გარე საჭიროებების დადგენის საფუძველზე;

4.2.2. აკადემიის შიდა საჭიროებების დადგენის დროს კვლევის სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტი, პროფესიული მასწავლებელი, ადმინისტრაციული პერსონალი, ხოლო გარე საჭიროებების დადგენის დროს - დამსაქმებელი, შრომის ბაზარი და სხვა;

4.2.3. კვლევებით დგინდება დამსაქმებლის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, პერსონალის, კურსდამთავრებულის კმაყოფილება, ამასთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა;

4.3. რაოდენობრივი კვლევები ხორციელდება მატერიალურად ან ელექტრონულად Google form-ის პლატფორმის გამოყენებით;

4.4. რაოდენობრივი კვლევის მიზანია:

4.4.1. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კვლევა- პროფესიული სტუდენტები/მსმენელები აფასებენ აკადემიის ინფრასტრუქტურას, მათ შორის მატერიალური და საინფორმაციო რესურსებს, სასწავლო პროცესს, სწავლის შედეგების მიზნობრიობას, სწავლის მეთოდებს, შეფასების ფორმებს და მეთოდებს, პრაქტიკულ კომპონენტს, სასწავლო რესურსებს (მასალები, ლიტერატურა), სასწავლო და სამუშაო (პარტნიორ ორგანიზაციებში) გარემოს, პროფესიული მასწავლებლის კომპეტენციას, ასევე კითხვარში აფიქსირებს ინდივიდუალურ საჭიროებებსა და რეკომენდაციებს;

4.4.2. პროფესიული მასწავლებლების კვლევა პროფესიული მასწავლებლები აფასებენ აკადემიის ინფრასტრუქტურას, მათ შორის მატერიალური და საინფორმაციო რესურსებს, სამუშაო პირობებს, მხარდამჭერ ღონისძიებებს. პროფესიული მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესის შეფასება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დაიხვეწოს მოდულებში დამხმარე ჩანაწერები, განახლდეს სასწავლო რესურსი, ასევე კითხვარში აფიქსირებს ინდივიდუალურ საჭიროებებსა და რეკომენდაციებს;

4.4.3. ადმინისტრაციული პერსონალის კვლევა - ადმინისტრაციული პერსონალი აფასებს აკადემიის ინფრასტრუქტურას, მათ შორის მატერიალური და საინფორმაციო რესურსებს, მართვის სტილს, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვას, მხარდამჭერ ღონისძიებებს, ასევე კითხვარში აფიქსირებს ინდივიდუალურ საჭიროებებსა და რეკომენდაციებს;

4.4.4. კურსდამთავრებულების კვლევა - კურსდამთავრებულები აფასებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და სწავლის შედეგების მიღწევას. აფასებენ, როგორი კმაყოფილები არიან მიღებული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რამდენად გამართლდა მათი მოლოდინები, რამდენად დასაქმდნენ შეძენილი ცოდნითა და უნარებით პროფესიის შესაბამისად;

4.4.4.1. კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია

- კვლევის მიზანი: კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანია სწავლის დასრულების შემდგომ გავიგოთ თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა).
- კვლევის მეთოდი : კვლევის ფარგლებში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რათა უფრო სრულყოფილად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება.
- სამიზნე ჯგუფი : კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები;
- შერჩევა: თუ პროგრამაზე კურსდამთავრებულთა რაოდენობა არის მცირე (20 კურსდამთავრებულამდე), რესპოდენტებად შეირჩევა ყველა კურსდამთავრებული, ან მინიმუმ მათი 80%;
- კვლევა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ;

- მონაცემთა შეგროვების მეთოდი: კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდი, რადგან ის გვაძლევს რიცხვებით გამოხატულ მაჩვენებელს ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაზე. მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოყენებულია გამოკითხვა.
- მონაცემთა შეგროვების მეთოდის აღწერა: გამოკითხვა - გამოიყენება სტრუქტურირებული/სტანდარტიზებული კითხვარი, რომელიც მოიცავს როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და შედგება რამდენიმე თემატური ჯგუფისგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის, დახურული კითხვების გამოყენება განპირობებულია რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ არიან შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით.
- სატელეფონო ინტერვიუ: კურსდამთავრებულთა კვლევა შესაძლებელია წარიმართოს სატელეფონო ინტერვიუს მეშვეობით. თუ კვლევის სავარაუდო მონაწილეს არ სურს, ან არ შეუძლია პასუხის გაცემა, საჭირო მოცულობის შერჩევის შენარჩუნების მიზნით, შესაძლებელია ამ რესპონდენტის შემცვლელთან დარეკვა.
- ელექტრონული გამოკითხვა: შესაძლებელია გამოყენებული იყოს ელექტრონული გამოკითხვა. ამ შემთხვევაში კითხვარის აწყობა ხდება google forms გამოყენებით.
- მონაცემთა ანალიზი და რეაგირება: ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად შეისწავლის და აანალიზებს სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის მონაცემებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელებული კვლევის შედეგების ანგარიში წარედგინება დირექტორს.
- შემუშავებული ანგარიში განიხილება სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან/ მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლებთან, რომლებსაც მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამების განვითარების მიზნით.

4.4.5 დამსაქმებლების კვლევა - დამსაქმებლები აფასებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, თუ რამდენად სრულყოფილად უვითარებს პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს პროფესიულ უნარებს. შემუშავებული ანგარიში განიხილება სასწავლო პროცესის მენეჯერთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/პრაქტიკის ინსტრუქტორებთან/ მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლებთან, აღნიშნული კვლევის შედეგები გამოიყენება პროფესიული პროგრამების განვითარების და ცვლილებების განხორციელებისათვის.

4.5. პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ატარებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევას და მონაცემებს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს.

4.6. საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს ატარებს პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის კვლევას და მონაცემებს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს;

- 4.7. კვლევების შედეგების ანალიზის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.
- 4.8. ზემოთ აღნიშნული კითხვარების საშუალებით პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კვლევა ტარდება საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის პროცესში ერთხელ.
- 4.9. ზემოთ აღნიშნული კითხვარების საშუალებით ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის კვლევა ტარდება ექვს თვეში ერთხელ.
- 4.10. ზემოთ აღნიშნული კითხვარების საშუალებით დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევა ტარდება წელიწადში ერთხელ.
- 4.11. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ყველა კითხვარის ჩატარების საფუძველზე მომზადებულ ანალიზსა და განვითარების გეგმას წარუდგენს დირექტორს.

საჭიროების შემთხვევაში (თუ შევსებული კითხვარების რაოდენობრივი მონაცემები არავალიდურია (50% დაბალი ჩართულობის მაჩვენებელი) ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი გეგმავს და ატარებს დაინტერესებულ პირებთან ფოკუს ჯგუფებს, შეხვედრაზე მიღებული ინფორმაცია დამუშავდება და ანგარიშის სახით მომზადდება.

- 4.13. ამ მუხლში აღწერილი კითხვარები მოცემულია დანართების სახით.

## **მუხლი 5. ვერიფიკაციის მექანიზმები**

5.1. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი (განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში.

5.2. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია. რისკების ანალიზს აკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი „ანალიზის შედეგების საფუძველზე ახორციელებს ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, სადაც შესაძლო შეუსაბამოების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს :

- დამწყები მასწავლებლის ფაქტორი;
- მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა სტუდენტს აქვს უარყოფითი შეფასება მიღებული;
- მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა სტუდენტს აქვს დადებითი შეფასება მიღებული;
- ვერიფიკაცია შეიძლება შერჩევითი პრინციპითაც განხორციელდეს, მაგალითად ერთი და იმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 20% ;

- ასევე შესაძლოა რისკებში მოხდეს ისეთი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ბოლო სამი წელია არ შემოწმებულა(თითოეული საგანმანათლებლო პროგრამიდან მაქსიმუმ ორი მოდული)მოდული შეირჩევა

5.3. ვერიფიკაციის პროცესისათვის ჯგუფი იყენებს ვერიფიკაციის კითხვარებს, რომელის სამუშაო ვერსიას ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, აღნიშნული წარედგინება ჯგუფს პირველ შეხვედრაზე, ხდება საბოლოო ვერსიის შეჯერება. ყველა ვერიფიკატორი იყენებს კითხვარების შეჯერებულ ვერსიას.

5.4. შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების მტკიცებულების/ შეფასების პროცესის ვერიფიკაციას ახორციელებს დარგის სპეციალისტი/სპეციალისტები/ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი/განათლების ექსპერტი;

5.5. ვერიფიკატორი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის და შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ვალიდური, რელევანტური, ტექნიკური თვალსაზრისით გამართულად, გასაგები ენით დაწერილი და უზრუნველყოფდეს მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებას. შეესაბამება თუ არა შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ი და მტკიცებულება/მტკიცებულებები იმ მიზანს, რომლისთვისაც ის შეიქმნა და აკმაყოფილებს თუ დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს;

5.6. შეფასების პროცესის ვერიფიკაციის დროს მოწმდება არის თუ არა დაცული შეფასების პროცედურები, არის თუ არა ის თანმიმდევრული, გამჭვირვალე და ობიექტური;

5.7. ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევრს დოკუმენტები უნდა მიეწოდოს სრულად, რათა წევრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გულდასმით გაეცნონ მათ. თითოეულმა მონაწილემ უნდა შევასოს ვერიფიკაციის კითხვარი, აღნიშნული კითხვარი გამოყენებული იქნება, როგორც ინდივიდუალური კომენტარების საფუძველზე საერთო მოსაზრებების ფორმირებისა და გაზიარების საშუალება. შესაძლოა ვერიფიკატორმა არსებულ ჩამონათვალს თავისი კრიტერიუმიც დაამატოს;

5.8. ვერიფიკატორმა/ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები, საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის ჯგუფს უფლება აქვს მოითხოვოს შეხვედრა სასწავლო პროცესის მენეჯერთან, ან შეფასების პროცესში მონაწილე მხარესთან/მხარეებთან კონკრეტული საკითხის დაზუსტების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ ვერიფიკაციის ყველა წევრს მონაწილეობის ერთნაირი შესაძლებლობა მიეცეს;

5.9. განსახილველ საკითხებზე შეთანხმების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ სრულად იქნას გამოყენებული ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა მონაწილის კომპეტენცია და შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ყველა კრიტერიუმის საფუძველზე კომპლექსურად და ობიექტურად განხორციელდეს. ვერიფიკაციის ჯგუფის თითოეული წევრის მიერ შევსებული ვერიფიკაციის კითხვარის შედეგები შეჯამდება. თითოეული დაასახელებს იმ საკითხ(ებ)ს, რომლებიც გარკვევას და განხილვას საჭიროებენ;

5.10. ვერიფიკაციის ჯგუფი განიხილავს თითოეულ საკითხს, თანხმდება ერთიან პოზიციაზე და დასკვნაში ხდება შეჯერებული აზრის დაფიქსირება;

5.11. შიდა შემოწმებლებმა (ვერიფიკატორებმა) დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს უნდა გადასცეს შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ზუსტი ჩანაწერები;

5.12. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი ხარვეზების/შენიშვნების/შედეგების ანალიზის შესაბამისად გაცემული რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აისახება ვერიფიკაციის ანგარიშში და ეცნობება ყველა დაინტერესებულ მხარეს;

5.13. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში. ანგარიში უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. ანგარიშში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორც პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ვერიფიკაციის საბოლოო ანგარიშს წარუდგენს დირექტორს;

5.14. ვერიფიკაციის შედეგები ეგზავნება როგორც პროფესიულ განათლების მასწავლებლებს, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერს შესაძლებელია ვერიფიკაციის პრეზენტაცია განხორციელდეს ღია შეხვედრაზე;

5.15. ვერიფიკაციის შედეგების საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების დადგენილი პროცედურების ცვლილებები კოლეჯში დადგენილი სათანადო რეგულაციების გათვალისწინებით;

5.16. დაწესებულებამ ვერიფიკაციის ანგარიშის განხილვის საფუძველზე შესაძლოა შეიმუშაოს კონკრეტული მიზნის/მიზნების მისაღწევად სამოქმედო გეგმა, რომელშიც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს ვერიფიკაციის ანგარიშში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად;

5.17. ვერიფიკაციის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა მოხდეს ვერიფიკაციის წესის მოდიფიკაცია, რაც დამტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

5.18. ვერიფიკაციის პროცესების სქემა და ვერიფიკაციის ანგარიშის ფორმები წარმოდგენილია დანართების სახით (დანართი 1, 2, 3, 4, 5, 6, 7) .

## **მუხლი 6. შეფასება**

6.1. შეფასება - მოიცავს მონაცემების შეგროვებას, ანალიზს, პრობლემების იდენტიფიცირებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას;

6.1.1. ადგენს სასწავლო პროცესის და საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილებების და განვითარების საჭიროებას;

6.1.2. აანალიზებს ჩატარებული შემოწმების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვების შედეგებს;

6.1.3. აანალიზებს ინფრასტრუქტურის, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკურ და საინფორმაციო რესურსების განახლება-სრულყოფის საჭიროებას;

6.1.4. ადგენს საბიბლიოთეკო ფონდის შევსება-განახლების საჭიროებას;

6.1.5. ადგენს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაანხლების საჭიროებას;

6.1.6. ადგენს შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

6.1.7. ადგენს მარეგულირებელ წესებში/ მეთოდოლოგიებში ცვლილებების საჭიროებას;

### **მუხლი 7. გადახედვა/გაუმჯობესება**

7.1. გადახედვა/გაუმჯობესება - მოიცავს შესაბამისი დასკვნებიდან რეკომენდაციების შემუშავებასა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას. შესაბამისი პროცედურების დაგეგმვას ახალი მიზნების მისაღწევად.

7.2. ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი შეიმუშავებს ანგარიშს, რეკომენდაციებს, გეგმავს სასწავლო პროცესისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს, რომელსაც წარუდგენს დირექტორის მოადგილეს განსახილველად.

7.3. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, შესრულების ვადებით წარედგინება შესაბამის პოზიციებს შესასრულებლად.

7.4. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი დირექტორთან ერთად მონიტორინგს უწევს რეკომენდაციების, დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს.

### **მუხლი 8. დოკუმენტში ცვლილების შეტანის წესი**

8.1. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებები და დამატებები შედის აკადემიის დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი

ეტაპზე პასუხისმგებელი

მონაწილე

ინფორმირება

| პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/<br>მონაწილე                     | ხარისხის<br>უზრუნველყოფის<br>მენეჯერი | ვერიფიკატორი<br>(განათლება) | ვერიფიკატორი<br>(დარგი) | ინსტრუმენტის<br>შემდგენი | შემფასებელი | სტუდენტი | სასწავლო<br>პროცესის<br>მენეჯერი | აკადემიის<br>დირექტორი |
|-----------------------------------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------|-------------------------|--------------------------|-------------|----------|----------------------------------|------------------------|
| ვერიფიკაციის გეგმის შედგენა                                     |                                       |                             |                         |                          |             |          |                                  |                        |
| ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა                       |                                       |                             |                         |                          |             |          |                                  |                        |
| ვერიფიკატორების შერჩევა                                         |                                       |                             |                         |                          |             |          |                                  |                        |
| ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი                                     |                                       |                             |                         |                          |             |          |                                  |                        |
| შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება                      |                                       |                             |                         |                          |             |          |                                  |                        |
| შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და<br>მტკიცებულებების გამოთხოვა     |                                       |                             |                         |                          |             |          |                                  |                        |
| ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან<br>შესაბამისობის დადგენა |                                       |                             |                         |                          |             |          |                                  |                        |
| ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება<br>ვალიდურობის თვალსაზრისით |                                       |                             |                         |                          |             |          |                                  |                        |
| მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება                    |                                       |                             |                         |                          |             |          |                                  |                        |

|                                                                                        |  |  |  |  |  |  |  |  |
|----------------------------------------------------------------------------------------|--|--|--|--|--|--|--|--|
| მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება     |  |  |  |  |  |  |  |  |
| მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება                                                   |  |  |  |  |  |  |  |  |
| მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება                                                    |  |  |  |  |  |  |  |  |
| შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება                         |  |  |  |  |  |  |  |  |
| წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად                       |  |  |  |  |  |  |  |  |
| შეფასების დროის საკმარისობის შეფასება                                                  |  |  |  |  |  |  |  |  |
| შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება                                               |  |  |  |  |  |  |  |  |
| შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება                         |  |  |  |  |  |  |  |  |
| შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება               |  |  |  |  |  |  |  |  |
| შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება                                   |  |  |  |  |  |  |  |  |
| მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით                                      |  |  |  |  |  |  |  |  |
| ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა                                                 |  |  |  |  |  |  |  |  |
| ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებზე |  |  |  |  |  |  |  |  |
| შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში)                                    |  |  |  |  |  |  |  |  |
| ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა                                                  |  |  |  |  |  |  |  |  |
| რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)                     |  |  |  |  |  |  |  |  |
| ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)                |  |  |  |  |  |  |  |  |
| რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)                        |  |  |  |  |  |  |  |  |

ვერიფიკაციის დასკვნა

მოდული/სწავლის შედეგი -----

შემფასებელი -----

შეფასების პერიოდი -----

ვერიფიკატორი -----

ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი -----

| სისტემის<br>ნაწილი                                                                                                                                                                                                                                    | შემოწმების<br>მიდგომა                                                       | ინდიკატორი                                                                                                 | დიახ/ არა | მტკიცებულება<br>არას შემთხვევაში | რეკომენდაცია |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|----------------------------------|--------------|
| ვალიდურობა                                                                                                                                                                                                                                            |                                                                             |                                                                                                            |           |                                  |              |
| შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. |                                                                             |                                                                                                            |           |                                  |              |
| შეფასების<br>ინსტრუმენტი                                                                                                                                                                                                                              | შეფასების<br>ინსტრუმენტის<br>შესწავლა<br>განათლების<br>სპეციალისტის<br>მიერ | შეფასების გამოყენებული<br>ინსტრუმენტი არის<br>მოდულით განსაზღვრული<br>შეფასების მიმართულების<br>შესაბამისი |           |                                  |              |

|  |                                                                      |                                                                                                                                                    |  |  |  |
|--|----------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|--|--|
|  | შეფასების<br>ინსტრუმენტის<br>შესწავლა დარგის<br>სპეციალისტის<br>მიერ | შეფასების ინსტრუმენტის<br>შინაარსი სრულფასოვნად<br>აფასებს შესაფასებელ<br>სწავლის შედეგებს,<br>მოდულით დადგენილი<br>ყველა კრიტერიუმის<br>მიხედვით. |  |  |  |
|--|----------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|--|--|

## სანდოობა

შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

|                           |                                                                  |                                                                                                                                       |  |
|---------------------------|------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--|
| შეფასების<br>მტკიცებულება | მტკიცებულებათა<br>შესწავლა<br>განათლების<br>სპეციალისტის<br>მიერ | ყველა სწავლის<br>შედეგისათვის, თითოეული<br>შეფასებული პირისათვის<br>არსებობს მტკიცებულება                                             |  |
|                           | მტკიცებულებათა<br>შესწავლა<br>განათლების<br>სპეციალისტის<br>მიერ | მტკიცებულება ავთენტურია,<br>ანუ საჭიროების შემთხვევაში<br>შესაძლებელია შესაფასებელი<br>პირის იდენტიფიცირება                           |  |
|                           | მტკიცებულებათა<br>შესწავლა დარგის<br>სპეციალისტის<br>მიერ        | მტკიცებულება საკმარისია,<br>ანუ მტკიცებულების<br>მიხედვით შესაძლებელია<br>დარწმუნება, რომ დავალება<br>ყველა კრიტერიუმს<br>შეესაბამება |  |

|                                                           |                                                                       |
|-----------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------|
| მტკიცებულებათა<br>შესწავლა დარგის<br>სპეციალისტის<br>მიერ | მტკიცებულება ვალიდურია,<br>ანუ ასახავს იმას, რაც უნდა<br>შეფასებულიყო |
|-----------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------|

## გამჭვირვალობა

შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

|                      |                                                                                                  |                                                                                                           |
|----------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------|
| შეფასების<br>პროცესი | შეფასების<br>რეგულაციის<br>ან/და შეფასების<br>ინსტრუმენტის<br>შესწავლა<br>(პირობების<br>ნაწილში) | რეგულაცია ითვალისწინებს<br>შეფასების შესახებ<br>შესაფასებელი პირის<br>წინასწარი ინფორმირების<br>მექანიზმს |
|                      | შეფასებული<br>პირის<br>ინტერვიუება,<br>სხვა<br>მტკიცებულება                                      | წინასწარი ინფორმირება<br>ხორციელდება იმგვარად,<br>რომ არსებობს ამისი<br>მტკიცებულება                      |

